საქართველოს მთავრობის

დადგენილება №78

2024 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„2024 წელს ქ. თბილისში გასამართი აზიის განვითარების ბანკის (ADB) 57-ე ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზებისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2024 წელს ქ. თბილისში გასამართი აზიის განვითარების ბანკის (ADB) 57-ე ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზებისათვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/01/2023, 010220020.10.003.023847) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის 2 – 5 მაისს აზიის განვითარების ბანკის (ADB) ქ. თბილისში გასამართი 57-ე ყოველწლიური შეხვედრის სათანადო დონეზე ორგანიზების მიზნით, შეიქმნას 2024 წელს ქ. თბილისში გასამართი აზიის განვითარების ბანკის (ADB) 57-ე ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზების უზრუნველმყოფი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. **ლაშა ხუციშვილი** – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს მხრიდან აზიის განვითარების ბანკის (ADB) მმართველი – კომისიის თავმჯდომარე.

2. **ლევან დავითაშვილი** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი, საქართველოს მხრიდან აზიის განვითარების ბანკის (ADB) ალტერნატიული მმართველი – კომისიის წევრი.

3. **თეა წულუკიანი –** საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი, ვიცე-პრემიერი – კომისიის წევრი.

4. **ილია დარჩიაშვილი –** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი – კომისიის წევრი.

5. **ირაკლი ქარსელაძე –** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – კომისიის წევრი.

6. **რატი ბრეგაძე –** საქართველოს იუსტიციის მინისტრი – კომისიის წევრი.

7. **ვახტანგ გომელაური –** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი – კომისიის წევრი.

8. **ოთარ შამუგია** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – კომისიის წევრი.

9. **გიორგი ამილახვარი –** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი – კომისიის წევრი.

10. **მიხეილ სარჯველაძე –** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – კომისიის წევრი.

11. **ლევან ჟორჟოლიანი –** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი – კომისიის წევრი.

12. **ანზორ ჩუბინიძე** – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.

13. **გიორგი კაკაურიძე –** საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის წევრი.

14. **ეკატერინე გუნცაძე –** საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი.“.

2. მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) **ლესლსი ლამის** – აზიის განვითარების ბანკის (ADB) რეგიონულ დირექტორს.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**